თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 5236758

გაცემის თარიღი: 24/12/2020 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1795527
შემოსვლის თარიღი: 20/12/2020
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.11.10.008.001
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 108
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 7517.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "მირაქსი" (400157879)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**
- **IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- თამაზ ქოქოსაძე პ/ნ 01008017751
- მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ.#43, ბ.44.

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2261527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 20 დეკემბრის AR1795527 განცხადებით მომართა თამაზ ქოქოსაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2261527 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2261527 ბრძანებით, ქალაქი თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N108-ში (ს/კ N01.11.10.008.001, ფართობი: 1560 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2019 წლის 15 ივლისის #4580412 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2261527 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ამოღებულ იქნა ჩანაწერი „მიწის ნაკვეთზე სამანქანო შესვლა არ უნდა განხორციელდეს ო.ხიზანიშვილის ქუჩის მხრიდან“.

2019 წლის 22 აგვისტოს №4642683 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შემოერთება, რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის ფართობი და კონფიგურაცია, საკადასტრო კოდის უცვლელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია 201 5 წლის 29 ოქტომბრის №2261527 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და განახლებული საკადასტრო გეგმის და მისი მონაცემების დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2015 წლის 29 ოქტომბრის №2261527 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებითდამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად

ბრძანება

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2261527

ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (ს/კ N01.11.10.008.001 ფართობი 7517 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N882020965389; რეგისტრაციის თარიღი 18/12/2020 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N882020965389, რეგისტრაციის თარიღი 18/12/2020 წ.);

2. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება შეტანილ იქნეს იმ პირობეით, რომ არ უნდა განხორციელდეს ნამატი ფართობის პოტენციალის ათვისება.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2261527 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0120343891**
თარიღი: **08/12/2020**
პინი: **8021**

ადრესატი: თამაზ ქოქოსაძე
პირადი ნომერი: 01008017751
მისამართი: თბილისი ზაქარია ფალიაშვილის ქ. N 43 ბ. 44

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო თამაზ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 04.12.2020 წლის №01203391926-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.11.10.008.001; 01.11.10.008.202)გაერთიანებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი პოზიცია, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი:№01.11.10.008.001; 01.11.10.008.202) გაერთიანებასთან დაკავშირებით.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მიწის ნაკვეთებზე სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილია სამშენებლოდ გამოყენების პირობები(ს/კ №01.11.10.008.001 - № 2261527; 29/10/2015- კოეფიციენტის მომატება მერის ბრძანება №4398; 11.12.2015) (ს/კ №01.11.10.008.202- № 4664209; 11/09/2019), შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვები, სადაც მოცემული ნაკვეთების 01.11.10.008.001; 01.11.10.008.202 გაერთიანების შემდგომ საჭიროა იქნება შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი